

2024

შპს „დუთი ფრი გლობალი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3-5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
1. შესავალი	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	17
5. წინა პერიოდის კლასიფიკაციების შესწორება	17
6. ამონაგები	18
7. რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება.....	18
8. შრომის ანაზღაურების ხარჯები	18
9. სხვა საოპერაციო ხარჯები	18
10. წმინდა მოგება / (ზარალი) საკუთროს სხვაობიდან	19
11. ძირითადი საშუალებები.....	19
12. მარაგები	20
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
14. მიღებული სესხი.....	20
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
16. პირობითი ვალდებულებები	21
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	22
18. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დუთი ფრი გლობალის“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „დუთი ფრი გლობალის“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე (მომზადების საფუძვლები - ფუნქციონირებადი საწარმო), სადაც აღწერილია ის გარემოებები, რაც მიუთითებს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის არსებობაზე და ხელმძღვანელობის გეგმებზე, თუ როგორ აპირებს გადაჭრას ფინანსური სირთულეები და განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

31 მარტი, 2025

თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პაატა შარაბიძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-307233)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

31 მარტი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს „დუთი ფრი გლობალი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები	6	1,109,228	1,417,162
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(844,552)	(1,087,149)
საერთო მოგება		264,676	330,013
შრომის ანაზღაურების ხარჯი	8	(804,474)	(615,528)
იჯარის ხარჯი		(121,872)	(108,737)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(428,804)	(89,738)
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(3,048)	(3,100)
საოპერაციო ზარალი		(1,093,522)	(487,090)
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი (წმინდა)		(1,782)	5,714
ფინანსური ხარჯი	14	(12,661)	(18,793)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	10	(35,169)	(32,919)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,143,134)	(533,088)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(1,143,134)	(533,088)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,143,134)	(533,088)

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციების შედეგს.

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, შპს „დუთი ფრი გლობალი“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 31 მარტს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ფ. ილმაზი
დირექტორი

ნ. მელიწკაური
ფინანსური დირექტორი

31 მარტი, 2025

შპს „დუთი ფრი გლობალი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები	6	1,109,228	1,417,162
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(844,552)	(1,087,149)
საერთო მოგება		264,676	330,013
შრომის ანაზღაურების ხარჯი	8	(804,474)	(615,528)
იჯარის ხარჯი		(121,872)	(108,737)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(428,804)	(89,738)
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(3,048)	(3,100)
საოპერაციო ზარალი		(1,093,522)	(487,090)
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი (წმინდა)		(1,782)	5,714
ფინანსური ხარჯი	14	(12,661)	(18,793)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	10	(35,169)	(32,919)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,143,134)	(533,088)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(1,143,134)	(533,088)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,143,134)	(533,088)

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციების შედეგს.

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, შპს „დუთი ფრი გლობალი“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 31 მარტს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ფ. ილმაზი
დირექტორი



ნ. მელიწკაური
ფინანსური დირექტორი



31 მარტი, 2025

შპს „დუთი ფრი გლობალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	20,958	20,772
არამატერიალური აქტივები		2,518	2,518
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,476	23,290
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	428,961	1,932,078
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		5,328	4,810
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	6,489
გაცემული ავანსები		-	3,333
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	17,463	20,758
სულ მიმდინარე აქტივები		451,752	1,967,468
სულ აქტივები		475,228	1,990,758
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		337,570	1,480,704
სულ კაპიტალი		337,570	1,480,704
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	49,117	264,348
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	83,442	245,706
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		5,099	-
სულ ვალდებულებები		137,658	510,054
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		475,228	1,990,758

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, შპს „დუთი ფრი გლობალი“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 31 მარტს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ფ. ილმაზი
დირექტორი

ნ. მელიწკაური
ფინანსური დირექტორი

31 მარტი, 2025

შპს „დუთი ფრი გლობალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	20,958	20,772
არამატერიალური აქტივები		2,518	2,518
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,476	23,290
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	428,961	1,932,078
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		5,328	4,810
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	6,489
გაცემული ავანსები		-	3,333
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	17,463	20,758
სულ მიმდინარე აქტივები		451,752	1,967,468
სულ აქტივები		475,228	1,990,758
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		337,570	1,480,704
სულ კაპიტალი		337,570	1,480,704
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	49,117	264,348
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	83,442	245,706
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		5,099	-
სულ ვალდებულებები		137,658	510,054
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		475,228	1,990,758

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, შპს „დუთი ფრი გლობალი“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 31 მარტს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ფ. ილმაზი
დირექტორი



ნ. მელიწკაური
ფინანსური დირექტორი



31 მარტი, 2025

შპს „დუთი ფრი გლობალი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,013,792	2,013,792
წლის მთლიანი სრული ზარალი	(533,088)	(533,088)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,480,704	1,480,704
წლის მთლიანი სრული ზარალი	(1,143,134)	(1,143,134)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	337,570	337,570

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, შპს „დუთი ფრი გლობალი“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 31 მარტს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ფ. ილმაზი
დირექტორი

ნ. მელიწკაური
ფინანსური დირექტორი

31 მარტი, 2025

შპს „დუთი ფრი გლობალი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,013,792	2,013,792
წლის მთლიანი სრული ზარალი	(533,088)	(533,088)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,480,704	1,480,704
წლის მთლიანი სრული ზარალი	(1,143,134)	(1,143,134)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	337,570	337,570

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, შპს „დუთი ფრი გლობალი“-ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 31 მარტს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ფ. ილმაზი
დირექტორი



ნ. მელიწკაური
ფინანსური დირექტორი



31 მარტი, 2025

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(1,143,134)	(533,088)
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	11	3,048	3,100
ფინანსური ხარჯი	14	12,661	18,793
გასაყიდად გამოუსადეგარი მარაგების ჩამოწერა	9	308,201	-
მარაგების გაუფასურება		-	-
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	10	35,169	32,919
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(784,055)	(480,686)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		(648)	16,050
მარაგების შემცირება		1,194,915	297,198
წინასწარ გადახდილი გადასახადების (ზრდა) / შემცირება		11,588	(14,666)
სხვა მიმდინარე აქტივების (ზრდა) / შემცირება		3,333	(3,333)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(177,997)	120,415
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		247,136	(65,022)
მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი		(15,937)	(15,599)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		231,199	(80,621)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა		(3,234)	(2,174)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,234)	(2,174)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების ზრდა	14	212,363	448,908
მიღებული სესხების გადახდა	14	(421,854)	(366,626)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(209,491)	82,282
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (კლება)		18,474	(513)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე		(21,769)	(27,226)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში		20,758	48,497
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს		17,463	20,758

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, შპს „დუთი ფრი გლობალის“ -ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 31 მარტს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ფ. ილმაზი
დირექტორი

ნ. მელიწკაური
ფინანსური დირექტორი

31 მარტი, 2025

შპს „დუთი ფრი გლობალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(1,143,134)	(533,088)
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	11	3,048	3,100
ფინანსური ხარჯი	14	12,661	18,793
გასაყიდად გამოუსადეგარი მარაგების ჩამოწრა	9	308,201	-
მარაგების გაუფასურება		-	-
წმინდა ზარალი საკუროს სხვაობიდან	10	35,169	32,919
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(784,055)	(480,686)
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		(648)	16,050
მარაგების შემცირება		1,194,915	297,198
წინასწარ გადახდილი გადასახადების (ზრდა) / შემცირება		11,588	(14,666)
სხვა მიმდინარე აქტივების (ზრდა) / შემცირება		3,333	(3,333)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		(177,997)	120,415
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		247,136	(65,022)
მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი		(15,937)	(15,599)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		231,199	(80,621)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა		(3,234)	(2,174)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,234)	(2,174)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების ზრდა	14	212,363	448,908
მიღებული სესხების გადახდა	14	(421,854)	(366,626)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(209,491)	82,282
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (კლება)		18,474	(513)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე		(21,769)	(27,226)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში		20,758	48,497
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს		17,463	20,758

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 6-9 გვერდებზე, შპს „დუთი ფრი გლობალის“ -ს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2025 წლის 31 მარტს, კომპანიის სახელით ფინანსურ ანგარიშგებას ხელს აწერს:

ფ. ილმაზი
 დირექტორი



ნ. მელიწკაური
 ფინანსური დირექტორი



31 მარტი, 2025

1. შესავალი

შპს „დუთი ფრი გლობალი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო ნომერი: 208150766), რომელიც 1996 წელს დაფუძნდა და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბესიკის ქ. N4 მიმდებარედ (ნაკვეთი N46/10).

კომპანიის მფლობელები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
აბდულქადირ ქეთენჯი	75%	75%
შპს დუთი ფრი ინტერნეიშნალ	25%	25%
	100%	100%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მფლობელია აბდულქადირ ქეთენჯი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა კატეგორიის საქონლის: თამბაქოს ნაწარმი, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების რეალიზაცია.

(ა) ძირითადი საქმიანობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა კატეგორიის საქონლის: თამბაქოს ნაწარმი, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების რეალიზაცია.

შპს დუთი ფრი გლობალი მუშაობს თავისუფალ სავაჭრო ზონაში, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის № 455 დადგენილებით - საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი, რომელიც მდებარეობს წითელ ხიდზე (აზერბაიჯანის საზღვარი).

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის განაცხადი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მსს ფასს-ების შესაბამისად, ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მიუხედავად იმის, რომ კომპანია უწყვეტად ბოლო ორი წლის განმავლობაში აგენერირებს ზარალს ((2024 წლის სრული პერიოდისთვის: 1,122,349 ლარი, ხოლო 2023 წლის სრული პერიოდისთვის: 533,088 ლარი), რაც უმეტეს წილ გამოწვეულია სასაღვრო გაშვები პუნქტების დაკეცილი აზერბაიჯანთან, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ზემოთ ნახსენები განუსაზღვრელობის მიუხედავად ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მიზანშეწონილია კომპანიისთვის და იგი მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა დაფინანსებას, რომელსაც კომპანია საჭიროების შემთხვევაში სტაბილურად იღებს სესხების სახით დაკავშირებული მხარისგან. ასევე, კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ღირებულების მარაგები, რომელიც ნებისმიერ დროს შესაძლებელია გაიყიდოს დაკავშირებულ მხარეზე მოგებით. მსჯელობისას აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა ფაქტი, რომ კომპანიის დამფუძნებლები სავაჭრო ობიექტის სტრატეგიულობიდან გამომდინარე უახლოეს მომავალში არ აპირებს საიჯარო კონტრაქტის გაუქმებას. გარდა ამისა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოკლევადიანი აქტივები (451,752 ლარი) მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის მოკლევადიან ვალდებულებებს (116,873 ლარი), ასევე კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 2024 წლის მდგომარეობით შეადგენს 358,355 ლარს, რაც ამყარებს მოსაზრებას, რომ კომპანიას ამ ეტაპზე არ აქვს ლიკვიდურობის პრობლემა ანუ კომპანია შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“) რაც ასევე არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, კონვერტირების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არიან წარმოდგენილი, გადაყვანილია ლარში, სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გადაყვანილია ლარში, ამ დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კონვერტირება აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული უპირატესი გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებების კონვერტირების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი წარმოდგენილია წინამდებარე მოგება-ზარალის ანგარიშში- „საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 EUR/GEL	2.9306	2.9753
1 USD/GEL	2.8068	2.6894
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>	2024	2023
1 USD/GEL	2.7208	2.6278
1 EUR/GEL	2.9440	2.8415

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან აკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შევებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	25
მაღაზიები, ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	2-10

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- ▶ კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- ▶ სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ▶ ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- ▶ აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება

აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადაამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულის და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება.

თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შემენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტის სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებული, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებული, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

5. წინა პერიოდის კლასიფიკაციების შესწორება

კომპანიამ, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას. რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე.

ეფექტი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(201,575)	201,575	-
იჯარის ხარჯი	-	(108,737)	(108,737)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(89,738)	(89,738)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(3,100)	(3,100)

6. ამონაგები

ამო ნაგები 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
თამბაქო	950,897	1,232,875
ალკოჰოლური სასმელები	153,335	174,540
სხვა	4,996	9,747
სულ ამონაგები	1,109,228	1,417,162

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

7. რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
თამბაქო	766,822	997,206
ალკოჰოლური სასმელები	74,451	89,661
სხვა	3,279	282
სულ რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება	844,552	1,087,149

8. შრომის ანაზღაურების ხარჯები

კომპანიის შრომის ანაზღაურების ხარჯი 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
ხელფასი	785,812	599,348
დაზღვევის ხარჯი	10,631	10,064
საპენსიო დანაზოგის ხარჯი	8,031	6,116
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	804,474	615,528

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯი 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
მარაგების გაუფასურების ხარჯი*	308,201	-
პროფესიონალური მომსახურება	37,875	40,442
საწვავის ხარჯი	23,711	24,769
სასამართლო დავასთან დაკავშირებული ანარიცხის ხარჯი	20,784	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	8,542	6,433
საგადასახადო ხარჯი	8,028	1,219
რემონტის ხარჯი	7,862	5,220
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	5,340	3,356
დაზღვევის ხარჯი	1,921	1,894
სხვა	6,540	6,405
სულ საერთო ხარჯები	428,804	89,738

9 სხვა საოპერაციო ხარჯები (გაგრძელება)

(*) 2024 წლის 14 ივლისს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში განხორციელდა ცვლილება რაც თამბაქოს შეფუთვაზე ჯანმრთელობის გაფრთხილების მითითებას მოითხოვდა. შედეგად, კომპანიას მოუწია იმ მარაგის ჩამოწერა და განადგურება, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა.

10. წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან

წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	15,727	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,234	40,442
სესხები	4,892	24,769
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,572	6,433
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29	1,219
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(50,896)	5,220
ფული და ფულის ეკვივალენტები	(29,003)	3,356
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(19,305)	1,894
სესხები	(2,429)	6,405
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(159)	-
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	(35,169)	89,738

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2024 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	მაღაზიების და ოფისის აღჭურვილობა და ავტო	სულ
31 დეკემბერი, 2022	37,458	3,550	41,008
მიღება	-	2,174	2,174
გასვლა	-	(531)	(531)
31 დეკემბერი, 2023	37,458	5,193	42,651
მიღება	-	3,234	3,234
31 დეკემბერი, 2024	37,458	8,427	45,885
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2022	(16,481)	(2,829)	(19,310)
ცვეთა	(1,498)	(1,602)	(3,100)
გასვლა	-	531	531
31 დეკემბერი, 2023	(17,979)	(3,900)	(21,879)
ცვეთა	(1,499)	(1,549)	(3,048)
31 დეკემბერი, 2024	(19,478)	(5,449)	(24,927)
31 დეკემბერი, 2023	19,479	1,293	20,772
31 დეკემბერი, 2024	17,980	2,978	20,958

კომპანიის საკუთებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული სესხის უზრუნველყოფისთვის.

12. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საქონელი მაღაზიაში	357,270	552,362
საქონელი საწყობში	71,691	1,361,361
საქონელი გზაში	-	9,510
სხვა	-	8,845
სულ მარაგები:	428,961	1,932,078

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თამბაქო	269,681	1,770,731
ალკოჰოლური სასმელები	156,036	149,174
სხვა	3,244	12,173
სულ მარაგები:	428,961	1,932,078

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	16,870	9,868
ნაღდი ფული	593	10,890
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17,463	20,758

საბანკო ბალანსები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 16,870 ლარის ოდენობით განთავსებული იყო “BB-“ რეიტინგის მქონე ბანკში ფიჩის რეიტინგის მიხედვით (2023 წლის 31 დეკემბერი: 9,868 ლარი)

14. მიღებული სესხი

კომპანიის მიღებული სესხი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ვადა	საპროცენტო განაკვეთი %	ვალუტა	31	31
				დეკემბერი 2024	დეკემბერი 2023
შპს დუთი ფრი ჯორჯია	მოთხოვნამდე*	6.5%-9.5%	EUR	-	150,207
შპს დუთი ფრი ჯორჯია	მოთხოვნამდე*	13%-14%	GEL	49,117	114,141
სულ მიღებული სესხები				49,117	264,348

(*) მხარეთა შეთანხმებით, დამოკიდებულია შპს დუთი ფრი გლობალის მომავალ საქმიანობაზე.

14. მიღებული სესხი (გაგრძელება)

2024 და 2023 წლის სესხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვრისთვის	264,348	180,796
ფულადი:		
სესხის აღება	212,363	448,908
სესხის დაფარვა	(131,809)	(366,626)
პროცენტის დაფარვა	(15,937)	(15,599)
არაფულადი:		
სესხის შემცირება *	(290,045)	
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	12,661	18,793
გადაფასების ეფექტი	(2,464)	(1,924)
31 დეკემბრისთვის	49,117	264,348

*შეთანხმების შედეგად, შპს დუთი ფრი გლობალმა სესხის შემცირების მიზნით, მოახდინა შპს დუთი ფრი ჯორჯიას მიმართ არსებული სასესხო ვალდებულებისა და შპს დუთი ფრი ჯორჯიასთან არსებული მოთხოვნის გადანეტვა.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ არაუზრუნველყოფილი მიღებული სესხები სრულად წარმოდგენილია დაკავშირებული მხარისგან მიღებული მოკლევადიანი სესხებით, ჯამური ღირებულებით 49,117 და 264,348 ლარი, წლების შესაბამისად. მიღებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია შესაბამისი ტრანშის მიღების მომენტში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ლარში არსებული სესხებისთვის გამოყენებულია 13.19-14.00%, ხოლო ევროში დენომინირებული სესხებისთვის 6.5-9.5%.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	66,815	195,679
სასამართლო დავასთან დაკავშირებული ანარიცხი	16,627	-
სხვა ვალდებულებები	-	50,027
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	83,442	245,706

16. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება

16. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია არსებითი სასამართლო დავა. ლუდმილა დადიანმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – შპს „დუთი ფრი გლობალის“ მიმართ, სასამართლოს 2025 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლუდმილა დადიანის სარჩელი, და კომპანიას დააკისრა თანხის გადახდა 16,627 ლარის ოდენობით, აღნიშნულზე კომპანიას შეეძინა აქვს ანარიცხი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. რაც შეეხება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს -ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

17 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია
მიღებული სესხები	49,117	264,348
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	50,876	218,363

	2024	2023
სრული შემოსავლის ანგარიშგება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია
ამონაგები	-	2,650
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(40,506)	(24,978)
ფინანსური ხარჯები	(12,661)	(18,793)

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის შრომის ანაზღაურების ხარჯში:

	2024	2023
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები	289,012	209,413

18. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- 2025 წელს კომპანიამ დამატებით აიღო სესხების დაკავშირებული მხარისგან მიმდინარე საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად ჯამური თანხით 218,100 ლარი.
- დაფარა 2025 წლის 27 იანვრის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დაკისრებული თანხა 16,627 ლარის ოდენობით

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვა.